ძირითადი ინფორმაცია კონკურსის შესახებ

ა(ა)იპ ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირი - საქართველოს OISTAT ნაციონალური ცენტრი აცხადებს კონკურსს 2022 წლის თბილისის სცენოგრაფიის IV საერთაშორისო ბიენალესთვის საქართველოს ეროვნული პავილიონის საუკეთესო პროექტის გამოსავლენად.

მიზანი

თბილისის სცენოგრაფიის IV საერთაშორისო ბიენალეს საერთაშორისო პროფესიული გამოფენის ფარგლებში ქართული ეროვნული **პავილიონის, როგორც თანამედროვე კონცეპტუალური სცენოგრაფიის ნიმუშის, წარმოჩენა.**

ამოცანა

თბილისის სცენოგრაფიის IV საერთაშორისო ბიენალესთვის ქართული ეროვნული პავილიონის საუკეთესო პროექტის გამოვლენა, **რომელიც გამოხატავს თანამედროვე ქართულ სცენოგრაფიაში არსებული ტენდენციების მრავალფეროვნებას.**

კონკურსის თემა

თავისუფალი

კონკურსის ვადები:

საკონკურსო პროექტი ელექტრონული ფორმით მიიღება **2021 წლის 26 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის 18:00 საათამდე.**

კონკურსში გამარჯვებული პროექტისათვის განკუთვნილი თანხა:

- თანხა გაიცემა მხოლოდ ერთი გამარჯვებული პროექტისათვის;
- კონკურსში გამარჯვებული პროექტის კურატორს გადაეცემა თანხა - 4 500 ლარის ოდენობით (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) - რომელიც განკუთვნილია 2022 წლის ოქტომბერში თბილისის სცენოგრაფიის ბიენალეს საერთაშორისო გამოფენაზე წარსადგენი

ქართული ეროვნული პავილიონის **პროექტის მომზდებისა და მისი განხორციელების ტექნიკური ხარჯებისათვის.**

- *ყველა სხვა ხარჯი, რომელიც გაცდება აღნიშნულ თანხას, უნდა გაიღონ თავად ეროვნული პავილიონის მონაწილეებმა.*

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ შემდეგ იურიდიულ სუბიექტებს:

ა) საინიციატივო ჯგუფებს (რომლებიც შედგება ფიზიკური პირებისაგან);
ბ) საქართველოში რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს;
გ) საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირებს.

ფორმატი:

- კონკურსანტად განიხილება ხელოვანთა ჯგუფი, რომელიც უნდა შედგებოდეს კურატორისა და მის მიერ შერჩეული სცენოგრაფებისაგან (არანაკლებ 3 ხელოვანისა);
- პავილიონის პროექტი უნდა იყოს წარმოდგენილი ერთიანი დიზაინერული კონცეფციით;
- კონკურსანტის მიერ საგამოფენოდ/პავილიონისთვის შერჩეული უნდა იყოს უკვე განხორციელებული პროექტები, რომელთა პრემიერა შედგა 2019-2021 წლებში.
- კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი შეიძლება იყოს: დეკორაციების ან/და კოსტიუმების ესკიზები, ფოტოები სპექტაკლებიდან, პერფორმანსებიდან, კადრები ფილმებიდან, ანიმაციური ფილმებიდან; ინსტალაციები, ვიდეო არტი ან/და მულტიმედიური სცენოგრაფია, მათ შორის კომპიუტერული თამაშების დიზაინი; ასევე მასალაში შესრულებული კოსტიუმები, მაკეტები, მარიონეტები და ა.შ .
- პავილიონის დიზაინი უნდა შეესატყვისებოდეს პავილიოში წარმოდეგნილი ხელოვანების ნამუშვრების და კურატორულ კონცეფციას.
- პავილიონის დიზაინი შეიძლება შექმნან, როგორც ბიენალეში მონაწილე სცენოგრაფებმა, ასევე კონკურსანტის მიერ მოწვეულმა დიზაინერმა.

მონაწილეობის პირობები:

კონკურსის ამოცანის გადასაწყვეტად, კონკურსანტი, როგორც საექსპოზიციო ჯგუფი, უნდა შედგებოდეს კურატორისა და მის მიერ შერჩეული სცენოგრაფებისაგან:

- ✓ რომლებსაც გააჩნიათ მუშაობის გამოცდილება დამდგმელ მხატვრად ანდა კოსტუმების მხატვრად თეატრში, კინოში, ტელევიზიაში ან სხვა ტიპის პერფორმანსებში;
- ✓ რომლებიც საქმიანობენ მულტიმედიურ სცენოგრაფიაში, ასევე კომპიუტერული თამაშების სცენოგრაფიაში;
- ✓ გააჩნიათ არა ნაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება ზემოაღნიშნულ სფეროებში.

- კონკურსში წარმოდგენილ პროექტს უნდა ხელმძღვანელობდეს კურატორი, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას ექსპოზიციის სრულად ორგანიზებაზე და გამარჯვების შემთხვევაში უხელმძღვანელებს მას ბიენალეს დასრულებამდე -2022 წლის ნოემბრამდე. ის პასუხისმგებელია უზრუნველყოს პავილიონის ორგანიზაციულ-ტექნიკური, მხატვრული და ფინანსური საკითხები.
- პავილიონის დიზაინი, ისევე როგორც საკურატორო კონცეფცია და მონაწილე სცენოგრაფების ნამუშევრები ფასდება კონკურსის მოწვეული ჟიურის მიერ.
- საინიციატივო ჯგუფის კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, აუცილებელი პირობაა პროექტის კურატორი/პროექტის ხელმძღვანელი იყოს ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საექსპოზიციო ჯგუფის საქმიანობაზე და გამოყოფილი თანხის მიზნობრივ ხარჯვაზე.

წარსადგენი დოკუმენტაცია

პროექტის ყველა მონაწილემ უნდა გამოაგზავნოს:

1. ხელმოწერილი პროექტის განაცხადი წარმოდგენილი PDF დოკუმენტის სახით;

განაცხადს უნდა ერთვოდეს:

- საკურატორო კონცეფცია (კურატორის/ავტორების მითითებით)
- მონაწილე ხელოვანების/სცენოგრაფების სია
- პავილიონის დიზაინის ესკიზი (დიზაინერის მითითებით)
- პავილიონის ტექნიკური აღწერილობა (სასურველია ტექნიკური ნახაზით);

2. დანართი №1 - მონაწილეების ნამუშევრები -მაღალი რეზოლუციით არა ნაკლებ 8 ერთეულისა, შესაბამისი საკატალოგო მონაცემებით (ნაწარმოების სახელწოდება, ავტორი, რეჟისორი, პრემიერის ადგილი და თარიღი, ასევე ნამუშევრის ზომა და მასალა);
3. დანართი №2 - პროექტის განმახორციელებელი გუნდის ძირითადი წევრებისა და სხვა მონაწილეების რეზიუმეები/CV-ები და პორტფოლიოები; ასევე
- მონაწილეების (კურატორისა და ხელოვანების) ფოტო სურათი (პორტრეტი);
- პავილიონის დიზაინერის ფოტო სურათი (პორტრეტი) და CV (თუ არ შედის მონაწილე-სცენოგრაფთა ჯგუფში)
4. დანართი № 3 - პავილიონის მონტაჟისა და დემონტაჟის დეტალური ხარჯთაღრიცხვა (Excel-ის, ასევე PDF ფორმატში) (ბიუჯეტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. დანართი №4- განმცხადებელი ორგანიზაციის (თუ განმცხადებელი იურიდიული პირია) ბოლო 6 თვის მანძილზე განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
6. განაცხადის განხილვის პროცესში, ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირი იტოვებს დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნის უფლებას;
7. კონკურსის ფარგლებში არსებული ყველა სავალდებულო დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (გარდა ორგანიზაციის პორტფოლიოსი).
ნამუშევრების ციფრული ვერსია უნდა იყოს გადმოგზავნილი ოფიციალურ მეილზე young.theatre.artists.union@gmail.com

საკონტაქტო პირები:

ნინო გუნია-კუზნეცოვა, ბიენალეს დირექტორი
ელ-ფოსტა: ninogunia@yahoo.com
მობ.: + 995 599 728812

მერი მაცაბერიძე, ბიენალეს საერთაშორისო გამოფენების მენეჯერი
ელ-ფოსტა: matsaberidzemeri@gmail.com
მობ.: + 995 599 934 934

კონკურსის ზოგადი ინფორმაცია

- კონკურსი ფინანსდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ (ხელშეკრულება № 00027801 13/10/21);
- კონკურსის აბრევიატურა TBGE -2021- 2022;
- კონკურსი გამოცხადდება:

- ა(ა)იპ ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირის ვებ-გვერდზე - www.ytaunion.com
- თბილისის სცენოგრაფიის საერაშორისო ბიენალეს ვებ გვერდზე www.tbilisibiennale.com და თბილისის სცენოგრაფიის საერთაშორისო ბიენალეს ფეისბუქ - გვერდზე 26 ოქტომბერს.

- 2022 წლის ოქტომბერში საექსპოზიციო სამუშაოებისთვის გამოყოფილი იქნება 2 სრული სამუშაო დღე, ხოლო დეინსტალაციისთვის -1 სამუშაო დღე. ზუსტი ვადები დადგინდება 2022 წლის გაზაფხულზე;
- ბიენალეს ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს საგამოფენო სივრცეს თბილისის ისტორიის მუზეუმში -ქარვასლა;
- საქართველოს პავილიონის სივრცის ადგილმდებარეობა საგამოფენო დარბაზში განსაზღვრული იქნება მონაწილე ქვეყნების რაოდენობის დადგენის შემდეგ;
- პავილიონს გამოეყოფა 25 კვადრატული მეტრი საგამოფენო სივრცე;
- ყველა სპეციალიზირებული მოთხოვნა უნდა იქნას წინასწარ შეთანხმებული ბიენალეს საორგანიზაციო ჯგუფთან და საგამოფენო სივრცების მენეჯმენტთან.

განაცხადის წარდგენა

1. კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებმა/საინიციატივო ჯგუფებმა მოთხოვნილი ნამუშვრები და დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ ელექტრონული ფორმით, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, საკონკურსო პირობებით დადგენილი ვადებისა და პირობების შესაბამისად;

2. პროექტთან დაკავშირებული ყველა შესავსები ფორმა ქვეყნდება შემოქმედებითი საქართველოს ვებ-გვერდზე -www.ytaunion.com

3. საპროექტო განაცხადის ელექტრონული ფორმა და სხვა სავალდებულო დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს ელ. ფოსტაზე - young.theatre.artists.union@gmail.com -2021 წლის 15 ნოემბრის 18:00 საათამდე. წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიეთითოს კონკურსის აბრევიატურა: TBGE -2021- 2022. (ელექტრონულად წარმოსადგენი დოკუმენტების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 20 MB-ს)

4. საპროექტო განაცხადი მიღებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ელექტრონულად გამოგზავნილ საპროექტო განაცხადზე ელ. ფოსტიდან young.theatre.artists.union@gmail.com განმცხადებელი მიიღებს დასტურს განცხადების მიღებისა და საკონკურსი კომისიისთვის განსახილველად გაგზავნის შესახებ;

5. განცხადების ფორმალური გაუმართაობის შემთხვევაში ა(ა)იპ ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირი განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას (არა უმეტეს 3 კალენდარული დღისა) ხარვეზის გამოსასწორებლად. ხარვეზი გამოსწორებულად ითვლება აღნიშნულ ვადაში შესაბამისი დაზუსტებული განაცხადის/დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში;

6. რეკომენდირებულია, განცხადებები წარმოდგენილ იქნას საკონკურსო ვადის ამოწურვამდე სამი სამუშაო დღით ადრე, რათა ფორმალური გაუმართაობის ან ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში არ შეიქმნას შეფერხება;

7. დაგვიანებით წარმოდგენილ ან/და არასრულად შევსებულ განაცხადს საკონკურსო კომისია არ განიხილავს.

შეფასების კრიტერიუმები

გამარჯვებულ პროექტზე გადაწყვეტილებას იღებს სპეციალურად მოწვეული კომისია. კომისია საკონკურსო განაცხადებს/აპლიკაციებს განიხილავს და აფასებს წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით

№	შეფასების კრიტერიუმი „კონკურსი „თბილისის სცენოგრაფიის მე-4 საერთაშორისო ბიენალესთვის“ საქართველოს ეროვნული პავილიონის პროექტის გამოსავლენად“	ქულა
1	საქართველოს ეროვნული პავილიონის საკურატორო კონცეფცია - ინოვაციურობა, ადექვატურობა, კონცეპტუალურობა და კრეატიულობა;	15
2	საქართველოს ეროვნული პავილიონის სცენოგრაფიული არტეფაქტები - ინოვაციურობა და მხატვრული ხარისხი;	15
3	საქართველოს ეროვნული პავილიონის დიზაინი - ხარისხი და შესაბამისობა ექსპოზიციაში მოცემულ სცენოგრაფიულ არტეფაქტებთან;	15
4	ბიუჯეტი - ხარჯეფექტიანობა და შესაბამისობა საპრემიო თანხასთან	15

5	პავილიონის სტრუქტურა - ფუნციონალურობა, რეალიზებადობა კონკრეტულ ვადებსა და საპრემიო თანხაში;	15
6	შესაბამისობა კონკურსის ამოცანასთან - რამდენად ასახავს პავილიონი ქართული სცენოგრაფიის განვითარების დონეს და ტენდენციების მრავალფეროვნებას	15
7	პროექტის განვითარების პერსპექტივა - რამდენად გაუმჯობესდება საქართველოს ნაციონალური პავილიონი რეალიზაციის პროცესში 2022 წლის ოტომბრისათავის თბილისის ბიენალეზე წარსადგენად.	10
	სულ	100

პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. ბენეფიციარი/გამარჯვებული პროექტის შემოქმედებითი ჯგუფი და კურატორი საანგარიშო პერიოდის ბოლოს დადგენილ ვადებში (2022 წლის 1 ნოემბრამდე) ვალდებულია წარმოადგინოს ა(ა)იპ ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირის დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების ფინანსური და ვერბალური ანგარიში;

2. პროექტის მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და შინაარსობრივ მონიტორინგს:

ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს, ხელშეკრულებით ნაკისრი ფინანსური ველდებულების თანახმად, ა(ა)იპ ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირის მიერ გადარიცხული თანხის ხარჯვის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენას.

ბ) შინაარსობრივი მონიტორინგი გულისხმობს ხელშეკრულების საგანში დაგეგმილი აქტივობების შესრულების დოკუმენტაციის შემოწმებას.

3. ა(ა)იპ ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირის მიერ ფინანსური მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება მხოლოდ დაფინანსებული პროექტის აპლიკაციაში წარმოდგენილი ბიუჯეტის მუხლების/პუნქტების/ქვეპუნქტების ფარგლებში გაწეული ხარჯი;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება პროექტის ბიუჯეტის მუხლების/პუნქტების ფარგლებში გაუწერელი ხარჯი. (ამგვარი ხარჯი სასურველია იყოს ასახული ბიუჯეტში თვითდაფინანსების ნაწილში და არ შედიოდის კონკურსით მოპოვებულ თანხის 4500 ლარის ხარჯებში);

გ) ბენეფიციარი ვალდებულია ფინანსური ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოუდგინოს ა(ა)იპ ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდულ კავშირს, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

დაფინანსებულ პროექტში ცვლილების განხორციელება

1.დაფინანსებული პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებსა და ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა ბენეფიციარის მიერ უნდა მოხდეს ცვლილების საჭიროების გამოვლენიდან დაუყოვნებლივ, გაჭიანურების გარეშე.

2. ცვლილების შესახებ მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით (შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც, ოფიციალურ ელ. ფოსტაზე young.theatre.artists.union@gmail.com და უნდა ასაბუთებდეს ცვლილების საჭიროებას და უთითებდეს, თუ როდის გახდა ცნობილი ცვლილების საჭიროება.

3. ა(ა)იპ ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მოთხოვნა, რომლის საჭიროება არ არის დასაბუთებული, ან/და წარმოდგენილია არასაპატიო დაგვიანებით.

5. დაფინანსებულ პროექტში ცვლილების შესახებ ბენეფიციარის მიერ წერილობითი ფორმით წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებსა და ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების ან/და ხელშეკრულებით დადგენილი ვადის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირი, არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში, რაც ფორმდება წერილობითი ფორმით;

6. დაფინანსებულ პროექტში არსებული ცვლილების მოთხოვნის შემთხვევაში, ა(ა)იპ ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირი უფლებამოსილია აღნიშნული საკითხი შეათანხმოს საკონკურსო კომისიასთან.